საქართველოს მთავრობის

დადგენილება №247

2022 წლის 16 მაისი

ქ. თბილისი

„გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №17 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/01/2014, 300160070.10.003.017608) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული:

1. „ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური რეგლამენტის“ (დანართი №2) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყლის ყოველი ამოღებისას ცალკეული წყალმოსარგებლე – ფიზიკური ან იურიდიული პირი, თუ იგი ახორციელებს სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის – საქსტატის 2016 წლის 28 ივლისის №10 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორით“ განსაზღვრული ეკონომიკური საქმიანობების ჩამონათვალით გათვალისწინებულ საქმიანობას და რომლის საქმიანობაც არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ვალდებულია, შეიმუშაოს ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობების პროექტი, რომელსაც ითანხმებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირი, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსი. ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო ინფორმაციას შეთანხმებული „ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობების“ თაობაზე წარუდგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოს.“.

2. „ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობების ფორმა“ (დანართი №4) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №4

ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობების ფორმა

შეთანხმებულია

_____

_____

(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა)

_____

(უფლებამოსილი პირის ხელმოწერა)

რეგისტრაციის № ----

„_____“ „_____“ 20____ წ.

პირობების მოქმედების ვადა _____ 20____ წლამდე

ივსება სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ

ტექნიკური პირობები

ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღებაზე

20___ 20___ წლების პერიოდისათვის

წყალმოსარგებლის დასახელება: _____

წყალმოსარგებლის იურიდიული მისამართი და ტელეფონი:

_____

საქმიანობის განხორციელების ფაქტობრივი ადგილმდებარეობა, მისამართი:

_____

წყალსარგებლობის მიზანი: _____

გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა წელიწადში (ასეთის არსებობის შემთხვევაში): _____

სამუშაო დღეების რაოდენობა/წელიწადში:_____

სამუშაო საათების რაოდენობა/დღეში: _____

ზედაპირული წყლის ობიექტი, საიდანაც ხდება წყლის ამოღება _____

წყლის ამოღების წერტილი (GPS კოორდინატები): _____

ამოღებული წყლის რაოდენობა: _____

ათასი კუბ.მ

იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ წელიწადში

ზედაპირული წყლის ობიექტი, სადაც ხდება გამოყენებული წყლის ჩაშვება: _____

_____

ჩაშვების წერტილი (GPS კოორდინატები): _____

ჩაშვებული წყლის რაოდენობა: _____

ათასი კუბ.მ

იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ წელიწადში

წყალმოსარგებლე ობიექტის პასუხისმგებელი პირი

_____ _____

(თანამდებობა) (სახელი და გვარი)

_____

(ხელმოწერა)

„_____“ „_____“ 20__ წ.

ბ.ა. “.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**